# ხატწერის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა

ხატწერის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 1 აკადემიური და 19 მოწვეული პედაგოგით.

კრედიტების რაოდენობაა 254. საშუალოდ, თითო სემესტრში - 31 კრედიტი. თითო აკადემიური წელი მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტის დაძლევას.

**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია**:

მოძღვრის რეკომენდაცია;
საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი;
ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

**შიდა გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში**:

ხატვა;
ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);
საქართველოს ისტორია (ზეპირი);
უცხოენა (ტესტირება - ინგლისური ენა (A2),რუსული ენა (A2),გერმანული ენა (A2),ფრანგული ენა (A2) ან ახალი ბერძნული ენა (A2).

შიდა გამოცდების ქვედა ზღვარია 51 ქულა, ზედა ზღვარი - 100 ქულა. მისაღები სტუდენტების რაოდენობაა არა უმეტეს 7-ისა.

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო და სასემინარო საათები, რომელიც მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს : წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდს; სემესტრული სემინარების/კოლოკვიუმების მომზადება-ჩაბარებას; პრეზენტაციის მომზადებას, გამოფენის მომზადებას, სემესტრულ/დასკვნით გამოცდებს.

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიანებს შუალედურ შეფასებას, კოლოკვიუმისა და სემინარის ქულებს, ლექციებზე დასწრებისა და დასკვნითი შეფასების საერთო ჯამს (გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს არანაკლებ 11 ან 21ქულა ). სასწავლო კურსი გულისხმობს პრაქტიკულ სამუშაოებს ეკლესია-მონასტრებში, სადაც შემორჩენილია შუა საუკუნეების მხატვრობა.

I კურსი მოიცავს 60 კრედიტს. ძირითადად, დატვირთვა აქვს ჰუმანიტარულ საგნებს, რათა სტუდენტმა შეძლოს ზეპირმეტყველების და წერისკულტურის დახვეწა, სტუდენტს გამოუმუშავდეს წერითი ჩვევები, შეიძინოს საბაზისო თეორიული ცოდნა, შეისწავლოს მშობლიური ქვეყნის ისტორია, უცხო ენა და ასევე გამოიმუშავოს წმ.წერილის ტექსტობრივიდ ამუშავების უნარი, გაეცნოს და შეისწავლოს სამხატვრო მასალები და მათი გამოყენება, შეისწავლოს აკადემიური ხატვისა და უნარ-ჩვევების გამოყენება სპეციალობისთვის.

II კურსი მოიცავს 65 კრედიტს. სტუდენტს ეძლევა საბაზო განათლება საღვთისმეტყველო დისციპლინებში. ეკლესიის ისტორიის, დოგმატური ღვთისმეტყველების სასწავლო კურსების მიზანია სტუდენტმა მიიღოს ინფორმაცია საეკლესიო სამართლის მეცნიერების შესახებ, დაეუფლოს ხატწერისათვის საჭირო უნარებს, ხატწერის ნიმუშების შესრულებისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, შეისწავლოს ორნამენტის მოდელირება კონტურის ხაზით, წმინდათა სახის მოდელირება კონტურის ხაზის საშუალებით და ორნამენტის შესრულება ფერში, შეისწავლიოს დაზგურ და მონუმენტურ ხატწერაში გამოყენებული მასალების (პიგმენტი, შემავსებელი, საგრუნტე და საბათქაშე მასალები და სხვა) ქიმიურ–ტექნოლოგიური თვისებები.

III კურსი მოიცავს 63 კრედიტს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა წმინდა წერილის ტექსტის შესწავლასთან ერთად გაეცნოს ბიბლიური ტექსტების წმინდა მამათა განმარტებებს, შეასრულოს წმინდანთა ესკიზისთვის გრაფიკული ნახატი, შეისწავლოს გამოსახულების დეტალები და დაამუშაოს ესკიზი ფერში, გაეცნოს თაბაშირის თავის შემადგენელ ნაწილებს, (ცხვირი, ტუჩი, ყური, თვალი) შეისწავლოს ძვლოვანი სისტემა და თავის ქალა, შეძლოს ადამიანის პორტრეტის შესრულება გრაფიკულად, გაეცნოს ბიზანტიური მხატვრობის ძირითადი დარგების განვითარების ისტორიას, ქრისტიანული ხელოვნების იკონოგრაფიას.

IV კურსი მოიცავს 64 კრედიტს სტუდენტი შეისწავლის მონუმენტური ხატწერის სპეციფიკას, კედელთან მუშაობის, ესკიზის გადიდების და შემცირების, კომპოზიციურად განაწილების და წერის მანერის თავისებურებებს, დაეუფლება ენკაუსტიკის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლას.

ხატწერის პროგრამა სტუდენტებს აძლევს ცოდნას თეოლოგიაში, კურსდამთავრებულს შეუძლია ესკიზის მიხედვით მოამზადოს ნიმუშები და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით წარადგინოს საპრეზენტაციოდ. შეუძლია ხატწერის ნიმუშებზე წერილობითი და ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება - ანალიზი და შედეგის პრაქტიკაში გამოყენება. აქვს უფლება შეასრულოს ხატწერის მარტივი ნიმუში.

კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს უნარები: ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა, კომუნიკაციისა (ქართულსა და რომელიმე უცხო ენაზე), დარგობრივი

ლიტერატურის წაკითხვა-გააზრებისა, შეუძლია გააგრძელოს სწავლა მომდევნო სასწავლო საფეხურზე ან განაგრძოს დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა.

# ხატწერის საბაკალავრო პროგრამა

## I სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ძველი აღთქმა I | 2 | 3 |
| 2 | ქრისტიანული მოძღვრების შესავალი I | 2 | 3 |
| 3 | ხატვის ზოგადი კურსი | 6 | 7 |
| 4 | საქართველოს ისტორია | 4 | 5 |
| 5 | უცხო ენა I | 4 | 5 |
| 6 | ძველი ქართული ლიტერატურა I | 2 | 3 |
| | ჯამი | 20 | 26 |

## II სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ძველი აღთქმა II | 2 | 3 |
| 2 | ქრისტიანული მოძღვრების შესავალი II | 2 | 3 |
| 3 | მარტივი ფორმები ხატვაში | 6 | 7 |
| 4 | საქართველოს ეკლესიის ისტორია | 2 | 3 |
| 5 | უცხო ენა II | 4 | 5 |
| 6 | ძველი ქართული ლიტერატურა II | 2 | 3 |
| 7 | ხატწერის ზოგადი კურსი | 4 | 5 |
| 8 | ლიტურგიკა | 4 | 5 |
| | ჯამი | 26 | 34 |

## III სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ახალი აღთქმა I | 2 | 3 |
| 2 | ძველი აღთქმა III | 2 | 3 |
| 3 | ხატწერის შესავალი | 6 | 8 |
| 4 | ეკლესიის ისტორია | 2 | 3 |
| 5 | ხატწერის ტექნოლოგია I | 4 | 5 |
| 6 | რთული ფორმები ხატვაში I | 6 | 7 |
| 7 | ბიზანტიური მხატვრობის ისტორია | 4 | 5 |
| | ჯამი | 26 | 34 |

## IV სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ახალი აღთქმა II | 2 | 3 |
| 2 | ძველი აღთქმა IV | 2 | 3 |
| 3 | ხატწერის მარტივი ფორმები | 6 | 8 |
| 4 | ხატწერის ტექნოლოგია II | 4 | 5 |
| 5 | რთული ფორმები ხატვაში II | 6 | 7 |
| 6 | ქართული შუა საუკუნეების მხატვრობის ისტორია | 4 | 5 |
| | ჯამი | 24 | 31 |

## V სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ახალი აღთქმა III | 2 | 3 |
| 2 | არქიტექტურის საფუძვლები | 2 | 3 |
| 3 | იკონოგრაფია I | 4 | 5 |
| 4 | ხატწერის რთული ფორმები 1 | 6 | 8 |
| 5 | ფერწერა I | 4 | 5 |
| 6 | პორტრეტის საფუძვლები | 6 | 7 |
| 7 | აკადემიური წერა | 2 | 3 |
| | ჯამი | 26 | 34 |

## VI სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ახალი აღთქმა IV | 2 | 3 |
| 2 | იკონოგრაფია II | 4 | 5 |
| 3 | ხატწერის რთული ფორმები II | 6 | 8 |
| 4 | ადამიანის ფიგურის აგების პრინციპები | 6 | 7 |
| 5 | კომპოზიციის საფუძვლები | 2 | 3 |
| 6 | ფერწერა II | 4 | 5 |
| | ჯამი | 24 | 31 |

## VII სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ახალი აღთქმა V | 2 | 3 |
| 2 | მონუმენტური ხატწერა I | 6 | 8 |
| 3 | საბაკალავრო ნაშრომის საფუძველი | 6 | 8 |
| 4 | ენკაუსტიკა 1 | 6 | 7 |
| | ჯამი | 20 | 26 |

## VIII სემესტრი

| N | საგნის დასახელება | საათი | კრედიტი |
|---|---|---|---|
| 1 | ახალი აღთქმა VI | 2 | 3 |
| 2 | მონუმენტური ხატწერა II | 6 | 8 |
| 3 | ენკაუსტიკა II | 6 | 7 |
| 4 | საბაკალავრო ნაშრომი | 6 | 20 |
| | ჯამი | 20 | 38 |

## კრედიტების ჯამი: 254 კრედიტი